№ 98 მაისი 11, შაბათი 1891 მაისი 11, შაბათი № 98

გაზეთი ღირს

თოვე	მან.	ᲙᲐ.	თოვე	მან.	ᲙᲐ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთის დასაგვიანად და ყოველ განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიეგზავნოთ: თბილისს რედაქციას ბუსაში, ვეშნელის ქუჩა, თ. ვარანცოვის მეგლის პირდაპირ, ოთ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო პალატის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ პირველ მაისიდან წლის დაბ მლეგამდე ღირს 7 მანეთი და 25 კაპ.

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲯᲡᲣᲠᲡ ᲓᲐᲘᲙᲘᲗᲕᲔᲗᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ 1891 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲡ:

ᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ა) თბილისში რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარავსლის გალერეაში.

ᲤᲝᲡᲢᲘᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამისთანავე ატყობინებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელად იქნება მარტო იმ სოფლის-მამწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაგვიანებისთვის შესაბამეს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

**გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემცირდეს ხარჯი კანცელარიისა ორმოცდა-თოთხმეტის თუმნითა. დიდის კამათობის შემდეგ საბჭომ შეიწყნარა კომისიის წინადადება. ბოლოს განხილული იყო მისიე და გამგეობის აზრი მასზედ, რომ ხარჯთაღრიცხვა ბიუროს და სავაჭრო პოლიციას ერთს დაწესებულებად იქმნეს გარდაქმნილი, რათა საკმარისი მოხელე ჰყოფდეს ქალაქს როგორც ხარჯის აკრეფაში, ისე ბაზრების თვალყურის ეჭერაშიო. ეს პროექტი კომისიისა დაწერილებითა გექონდა დაბეჭდილი ჩვენის გაზეთის წინა ნომრებში. აქაც თანხმობა გამოაცხადა საბჭომ და წინადადება საფინანსო კომისიისა მთლად დამტკიცებულ იქმნა.

*** 8 მაისს სტაროპოლის მცხოვრებელმა ივდოტია მიხეილის ასულმა გოლუბენკომ პოლიციაში გამოაცხადა, რომ დილის 11 საათზე ფედოროვის ეკეზიაზე მიდიოდი და თან შემოქონდა აღმასრულელი ფურცელი ტიგრან ხუდადოვისაგან ეალის ასაღებად. გზაში მომეარდა ეიღაც ბიჭი, ხელიდგან გამომტაცა ეს ქაღალდი და გაიქცა.

*** ამ თთვის 17, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე თაე. ზურაბ, კოსტანტინე და სხე. აბაშიძეებისა გლეხებთან დავობაზე მამულის შფლობელობის შესახებ. ეს საქმე ერთხელ კიდეც იყო განხილული პალატაში. პალატამ მოუსაჯა მამულები თაე. აბაშიძეებს, მაგრამ გლეხებმა—სამასს კომლზე მეტია—საკასაციო სარჩელი გაჰგზავნეს სენატში. სენატმა დაარღვია განაჩენი პალატასი ტ უბრძანა ხელმეორედ საქმის განხილვა.

გლეხების მხრივ დამცველად 17 მაისს პალატაში იქნებიან ნაფიცი ექიმები ალ. ყარაბეგოვი და კერძო ექიმი მანკიკეევიჩი, ხოლო თაე. აბაშიძეების მხრით — ნაფიცი ექიმები ალ. პოლტარაცკი.

ეს საქმე რამდენჯერმე დანიშნეს განსახილველად, მაგრამ ყოველთვის გადასდეს, რადგან ზოგიერთი მოდავე-გლეხთაგანი გარდაცვლილია.

*** „მთა-წმინდაშიაც“, მეტადრე ხუთშაბათობით ძლიერ ბევრი ხალხი დაიარება და ეფინება აქეთ იქით ეკლესიის პატარა ბილიკებს. ბილიკები აქ ისე არის გაკეთებული, რომ შესაძლებელია ვინმე მოსიარულეთაგანი გადავარდეს გზიდგან, ფრატოზედ დაგორდეს და დაიჩეხოს. კარგი იქმნება, მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება, ბილიკები შეღობონ და ისე გააკეთონ, რომ საშიში აღარ იყოს.

„წერა-კითხვის საზოგადოებას“ შემოსწერეს კიდევ ლატარია-ალეგრიასთვის შემდეგი ნივთები:

1) ივ. ბაგორ—ძემ ბებურაშვილმა—ერთი წყვილი ოქროს საყურეები, ერთი წყვილი ბროლის საყურეები ოქროში ჩასმული, ერთი ვერცლის სამაჯური, ვერცხლის კომბასი, ვერცხლის პატარა ხანჯალი, ცხენი-ბრელოკი, სასტვენი, ბლომუსი, 6 გასაღები საათისა, 12 ძეწკვი საათისა, ერთი ძეწკვი ახალის ოქროსი, 5 ვერცხლის ჯაჭვი და ერთი ნიკელის ჯაჭვი საათისა.

2) დაკ. ბაგ—ძემ თეთრაძემ—ერთი წყვილი ოქროს საყურეები და ერთი ვერცხლის ჯაჭვი.

3) კანტუ მიქელაძემ—5 მანეთი.

4) ივ. ალ—ძემ ზნელაძემ—ერთი ბეჭრის ტყვეი.

5) ალ. როინაშვილმა—საქართველოს და დაღესტნის ადგილთა, მოანასტერ-ცხოვთა დიდი სურათები, სულ რიცხვით 21; ერთი ყუთი ოდეკოლონის შეშებით სავსე; 12 ცალი ტილოს ხელსახოცი, 6 ცალი ქართული თეთშალი ჩითისა და 6 ცალი დახატული ფოთლები შიგ ფერადდერადად ჩაქსოვილი ყვავილებთა.

6) თაკ. გიორგი რეკ—ძემ ვაჩნაძემ—ორი დიდი ოლეოგრაფიული სურათი მოვარაყებულს ჩარჩოში ჩასმული, დახატ. პროფ. შიმკინის მიერ.

7) თაკ. სკამ. და ნაკ. დაკითისაკენ ანდრონაკაშვილმა—10 ბოთლი ღვინო.

8) ასეცეის მეუღლემ—ერთი სარძეკვი.

9) სოფიო კას—ასულმა ამირეკანიასკენ—12 ნაკეი სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთი.

10) კასიან ბერეზაშვილმა—6 ბოთლი ღვინო მაეთულის „კალათაში.

*** სოფ. ტეტრ (ზემო იმერეთი) ეკლესიაში ზემო იმერეთში სახელ-განთქმული სოფელია, მაგრამ სიკარგით-კი არა, არამედ სიავით. განსაკუთრებით აქ საქონლის ქურდობაა გავრცელებული. თუმცა ამ სამარცხვინო ხელობისათვის ეკლესიის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი საპყრობილეში ზის, მაგრამ ქურდობა ამით არა თუ არ ისპობა, პირ-იქით მატულობს კიდეც. მიზეზი ამისი, რასაკვირველია, ისაა, რომ ამ სოფელში ავ-კაცობას კარგი ნიადაგი აქვს და კარგს ნიადაგში ფესვებიც განიერად აქვს გადგმული. ამის გამო ვიდრე ნიადაგი ხელ-უხლებელი იქნება, ქურდობის მოსპობა აქ არ უნდა ველოდოთ.

*** ქუთაისი. ჩვენი საჩივარი მეუღამ ის არის და ის ყოფილა, რომ ამ ჩვენს დალოცვილს ქალაქში მეტისმეტი უსუფთაობაა. ზოგიერთი ქუჩა ისე ბინძურად ინახება, რომ, ცხენი არ დაიკო, ფინთის სუნის გამო სული შეეხუთება კაცს.

უსუფთაობა ხომ საქმეს გვიკვირვებს, ხოლო მეფსანგიც კარგს დღეს არ გვაყენებენ. ხორცის გაყიდვას ისე ახერხებენ, როგორც იმათი სურვილი გასჭრის. ამას წინად შეჰკრეს პირი და თითქმის სამის დღის განმავლობაში ხორც ვერ იშოვიდით. „ნიბრის დაგვარდ რომ გაეყიდოთ, ხელს არ იძლევაო“—ამბობდნენ და ამით იმარჯლებრნენ თავს. შემდეგ, როცა ნიბრს მოუმატეს, არ ეიცი რა სიფუძელით, და გირვანქა ხორცი ორ შაურად გახდა, რასაკვირველია, აბლა აუარებელი საქონელი იკლებს.

*** შეტყობინება: აქაურმა ერმიტაჟმა მიიღო ამ დღეებში სტამბოლიდამ რამდენიმე ძველი ქართული ფული. რადგანაც ამისთანა ფული ჯერ ხმა-გან არსად არ უპოვნიათ, ამიტომ ერმიტაჟმა იყიდა და თავის საკუთრებად შეიძინა:

*** იქიდანვე: ამ ახლო ხანებში დაუბეჭდიათ ინდოეთში ლიტოგრაფიის წესით არაბულად დღემდე უცნობი რედაქცია თხზულებისა: „სიბრძნე ბალავარისა. ამ თხზულებაში მოიპოვება თურმე სხვათა-შორის ის სამაგალითო არაკი ჯაბუკისა და იმის ცოლისა, რომელიც ამ თხზულებისაგან ქართულს ტექსტშია დაცული. ამ ახალის არაბულის ტექსტის შესახებ 2 მაისს წაიკითხა თავისი მოხსენება საარხეოლოგიო საზოგადოებაში ბარონმა ე. როზენმა.

*** ამ დღეებში პეტერბურგში ხუთს ინგლისელს მოგზაურს მოელიან, რომელთაც განზრახავ ჰქონიათ ინახულონ კავკასია, ავიდნენ იალბუზის მწვერვალზე და გამოიკვლიონ იმისი ყინულები. („Новости“).

*** ქ-ნის ეკატერინე ხელაძის სტამბაში ერთი პატარა წიგნაკი იბეჭდება სახელად „ოჰან გუსი“, თარგმანი ნ. შარაშიძისა.

კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოება.

(დასასრული იხ. „ივერია“ № 97)

საზოგადოების წევრმა ბ-ნმა სენჩიკოფსკიმ მაჩვენა საზოგადოების ეგრეთ-დაბა ამ გარემოებას, რომ თბილისში შეშხენა წყალი კარ არის კარგი, რადგან ქარხნებში საჭირო სისუფთავე არ არის დაცული. უნდა ვეცადოთ, მეპარხნეებმა ასარულონ ბრძანება კანონისა, რომელიც მათთვის შედგა საკანდაბეჭდო უნდა იყოსო. ბ-ნმა სენჩიკოფსკიმ ისიც მოახსენა, რომ ზოგიერთი ფარმაცევტები ერთის და იმავე დროს რამდენსამე ქარხნის ერთად განაკეთებს და, რასაკვირველია, კარ ასერებს ბუდმოდგენად საქმის დაკვირვებას; ამიტომაც ურჩია, ეს წესულება მოგესპოთ, თუ გვინდა ჩვენის შრომით სარგებლობა მოეუტანოთ ხალხსაო.

ბ-ნ იასტრემსკის შეუსწავლია მარგარინის საქმე. მარგარინი. როგორც მოგახსენებთ, ხელოვნურად შემზადებული ერბოა. პირველად ეს მოიგონეს ფრანგმა მეცნიერმა და მალე გავრცელდა ამ ყალბის ერბოს სმარება, რადგან ითვლა და მასთან ძნელიცა ამის გამოჩენა ნამდვილ ერბისაგან. მარგარინის კეთება ბევრმა დაიწყო და ძალიან ჩქარა მოედო ხალხნი. მარგარინს აკეთებენ ამ მასალისაგან, რომლისაგანაც ერნად ქონის სანთელს ასხამენ, კ. ი. ყოველად უვარგისის ქონეულობისაგან.

ბ-ნ იასტრემსკის გამოუკვლევია მარგარინის კეთრობის საქმე ჩვენს ქალაქში და მოუხსენებია საზოგადოებისათვის. ფარმაცევტების საზოგადოებამ პირველმა მიაქცია ყურადღება მარგარინის კეთრობას ტფილისში.

ერთი საკანაც უნდა აღენიშნოთ საზოგადოების წარსულის წლის ანგარიშში მოხსენებული. ეს საკანია პროექტი საქმიო-დასაბარტარიის დაარსებისა ტფილისში. ქალაქის სასკოლის არა ერთხელ ქენია საკანონო ამის შესახებ, რომ ქალაქის სურსათ-სანოვაგის კეთილ აუცილებელი საჭიროებაა ხალხის კეთილდღეობისათვისაო.

ქალაქის გამგეობამაც იცოდა, რომ ფარმაცევტთა საზოგადოებას განზრახული აქვს, საქმიო დასაბარტარია დაარსოს და მოგვიანებ კიდევ ქალაქის გამგეობისაგან წინადადება შესახებ ამისა, რომ შეეგიმეშოთ პირობანი მომავალის ეროვნულ-შორის ჩვენის მორიგებისაო—სწერია საზოგადოების ანგარიშში. უნდა გვეთქვა, რა პირობებით შეგვიძლია ავასრულოთ ე�ეთ საასნიტარო გამოკვლევა ქალაქის მინდობილებითაო. ამისთვის ამოვარჩიეთ კომისია, შემეშვალ პროექტი ხელ-შეგრულობისა და წარედგინა ქალაქის სასკოლის აპრილის შუა რიცხვებში. დასაბარტარიის გამეკედ საზოგადოება კამოიწერა რუსეთის უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულს ფარმაციის მაგისტრს და ამის ზედამხედველობის ქვეშ ქიმიური კვლევანი დასაბარტარიაში, ეწყო არაა, რაგანად ეწარმოესაო.

წარსულის წლის განმავლობაში საზოგადოებას შემოსულია ფული: საწევრო ფული ერთ ხნობით შემოსული 460 მან.; წლიური საწევრო ფული 217 მან. 50 კ., სულ 677 მან. და 50 კაპ. ჰქადის დასარჯულ სულ 287 მ.

დიდად გასიამოვნებთ და დაგატკბობთ კიდეცა. პირველის შეხედვით თითქოს სასაკლაოსნი არიან, ეხლანდელის ჩვენებურის თვალით რომ დავუწყოთ ყურება, მაგრამ რიგიანად-კი რომ დავაკვირდეთ, ძალიან მიმზიდველი და სასიამოვნო ხალხია. ამისათვის, რასაკვირველია ზოგიერთს წვრილმალს ყურადღება არ უნდა მიაქციოთ, უნდა ეცადოთ მიუხედეთ, რითი სულდგმულობს, რითი სცოცხლობს მისი სული და გული, მოგიგონოთ ის გარემოება და ეითარება, რომელშიაც ისინი აღიზარდნენ. აბა ასე დაკვირდით ამ ძველებურს ჩვენს დედაკაცებს და, დაგარწმუნებთ, მაღე მიჰსედებით თქვენს შეცდომას მათ შესახებ, უნებურად იგრძნობთ, რომ დიდის პატიეის-ცემის ღირსია სიწმინდე მათის სულისა, მათი ჭკვა-დამჯდარი და ფხიზელი მსჯელობა, მოუსყიდველობა მათის გულისა.

მაგრამ უპირველეს ყოველისა უფრო იმათი დამთავრებული და მტკიცე ხასიათი გაგაკვირვებთ და მოინადირებს თქვენს გულს. მაშინვე იგრძნობთ, რომ ისინი თავისს სიტყვა-პასუხსა და ქცევა-მსჯელობაში სრულიად დამოუკიდებელნი არიან. მართალია, განათლება მათი მცირეა, ცოდნა კიდევ უფრო მცირე და ბევრი რამ სულ არ ესმით და არ ეყურებათ, ხოლო წესი, ანუ უკეთ ესთქვათ, ტიპი მათის ზრდა-წრთვნისა დიდად და დიდად მაღალის ღირსებისაა, თუ მეტადრე მხედველობაში მიეიღებთ იმ დროების ეითარებას, როცა ისინი სცხოვრობდნენ და მოკმედებდნენ. იმ არა რთულესა და სადა ერთმანერთობის დროს, როგორიც არსებობდა იმათ ყმაწვილ-ქალობაში, უფუქველია, ისინი ნამდვილნი მოღვაწე წვერნი იყვნენ საზოგადოებისა, ისეთი წვერნი, რომელთაც კარგად ესმოდათ ყოველივე მაშინდელი ამბავი, რაც-კი რამ საყურადღებო იყო ქვეყნისათვის. ასე გასინჯეთ, ახლაც-კი ამასთანა ძველებური დედაკაცები დიდად გულ-ახლილნი არიან და მით ყველასთვის ცხადია, ადვილი გასაგებია, ვის და რას როგორ ეკვდებიან, როგორ ეპყრობიან. ზშირად იქნება სცდებიან, ისე არ ეკვდებიან და ისე არ ეპყრობიან, როგორც სასურველია, მაგრამ ეს გარემება განუეთთარებლობის ბრალია. სხვაფრივ-კი ვერაკვითარს ეკვებს, ვერაკვითარს ორპირობასა და სიყალბეს იმათ ვერ შეამჩნევთ. ცხადად ჰხედავთ, რომ თქვენ თეალწინ სდგანან ხასიათით სრული, ძლიერი და თითქო ერთისა და იმავე ლითონისაგან ჩამოსხმული ადამიანი-შვილები. უნდა გამოეტყდეთ, რომ ეს დედაკაცნი სრულიად ჩრდილავენ და ისეთს ძალას იჩენენ, რომ თითქმის აჩაგრავენ ადამიანს არა მარტო თავეიანთის დიდ პატივისცემის ხნიერებით, არამედ მთლად თავეიანთის ჭკუითა და ხასიათითაც.

სწორე მოგახსენოთ, შური შემიპყრიბს ხოლმე, ცოტა არ იყოს, მუდამ, როცა ეუცქერი ამისთანა მოხუცებულს ძველმაებს. აბა დაკვირდეთ, რაოდენი თავ-დაჭერილობა ეტყობათ, რაოდენის გულ-დამშვიდებით ჭკრძობენ თავიანთ ძალ-ღონეს! აბა შეხედეთ, რაოდენი მშვიდობა სულისა, სასწორის უღელსავით გაწონილ-გაუმრუდებელისა, ატყვია მთელს მათს დიდად დაბალისლურს შესახედაობას, აუჩქარებელს სიტყვა-პასუხს, მოფიქრებითა და სიტყვა-მოსწრებით თქმულს შენიშვნას, წყნარსა და მოხდენილს მიხვრა-მოხვრას. საიდამ გაჩნდა ასეთი სულით დამთავრებული, დასრულებული ადამიანი, ასეთი საღი, უსახიერო ბუნება, რომლისათვისაც არ არსებობს არც ეხლანდელი მოუსვენარი ფაკაფუკი, არც ეხლანდელი გულის ჩქროლვა-ლევა და ნერვების სისუსტე.

ზშირად დაეფიქრებიეარ ამ გარემოებას და ზშირად, ძალიან ზშირად, განუეიფერებიეარ ამ უეკველს უპირატესობას ძველებურ ქართველ დედაკაცისას. რა უნდა იყოს ამისი მიზეზი: თეთრ ძველებური დედა-კაცნი, მათი კერძო თვისებანი, მათი ჯანმრთელობა და საღი აგებულება, თუ ის ცხოვრება, რომელიც მათ გარს ერტყა და რომელმაც აღზარდა ისინი?

ის თვისებანი სულისა, რომელიც ჩვენ აღვენიშნეთ და რომელიც ასე ადვილად დასანახია ყველასთვის, ეინც განგებ თვალს არა ჰხუკავს, რასაკვირველია, კერძო, პირადი კეთილნებაა ძველებურ ქართველ დედა-კაცისა. ამ კერძო და პირად თვისებათა წყალობით ჩნდებოდა და იფურჩქნებოდა ბედნიერი და ყოველის სიკეთით უნდად დაჯილდოებული ბუნება მაშინდელის დედა-კაცისა. ხოლო თუ შემდეგ ამისა ეიკითხეთ: რაღაა მაშ მიზეზი, რომ იგი თვისებანი ასე ძრიელ ემჩნევა მხოლოდ ჩვენთა დედათა და ბებიათა, გარნა ეხლანდელს ქალებს-კი ასე ნაკლებად და ეშვიათადთა, მაშინ ამ საგანს საზოგადო ხასიათი უნდა მიეცეთ, ესე იგი, კერძო, საპირადო სფეროდამ საზოგადო სფეროში უნდა გადაეიტანოთ. სხვა სიტყვებით, ასე გამოითქმის ეს აზრი: ზემოხსენებულის გარემოების მიზეზი უნდა მოეძებნოთ იმ საზოგადოებურს წეს-წყობილებაში, რომლის ფრთეთა ქვეშეც აღიზარდნენ ჩვენი ძველნი და რომელიც გაჰქრა, ანუ თან და თან ჰქრება დღეს.

ზემოდ ჩვენა ესთქვით, რომ ძველებურს ბატონ-ყმობის დროს ერთი განსაკუთრებული, ნიშნობლიეი თვისება ჰქონდა, სახელდობრ ის თვისება, რომ დიდი ერთგვარობა ეტყობოდა მაშინდელს საზოგადოებურ აგებულებასა და საზოგადოებური ურთიერთობაც ცხადი და გარკვეული იყო. ვინ არ იცის, რომ მაშინ ერთმანერთობა კაცთა-შორის უფრო სადა და მარტივი იყო, ცხოვრების გადასაწყვეტი საგნები-არა რთული, ზრუნვა ლუკმა-პურის მოპოვებისათვის - არა თავ-სამტერეი. ცხოვრება ერთხელვე გაკვალულს რუს არ სტოვებდა და მომდინარებდა განუწყვეტლივ, მღო-

15 კ., დარჩა 390 მან. 35 კ., აქედან 300 მან. ბანკში შესახსენი და დასარჩენი 90 მ. 35 კ. საზინადარის სელშია.

წიგნთ-საცავისთვის გამოწერა წარსულის წლის განმავლობაში წიგნები და ჟურნალ-გაზეთები 109 მან. და 65 კაპ. და ეს ხარჯი ნაჩუენებია ზემოხსენებულს ხარჯში. წიგნთ-საცავშია სხვა-და სხვა თხზულება 88 ტომი 60 წიგნაკი ფარმაციისა, ქიმიისა, ბოტანიკისა, ზოოლოგიისა და სხვანი. წიგნთ-საცავს შემოსწერეს წიგნები: ბ-ბმა კრესლოვსკიმ, ვრანმა, შტაკმანმა, კრადმანმა, ოტტენმა, გინცგრაგემ; მაღნუელობის კოლეგმა შემოსწერა ბ-ნმა სენნიკოვსკიმ და განსაკუთრებით კავკასიის მადნეულობის კოლეგია საზოგადოებამ მიიღო ბ-ნ განცგრაგისაგან.

ტტიფარის ანკარიშის წაკითხვის შემდეგ კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა კრეფლოვსკიმ წარმოსთქვა სიტყვა: მოიგონა ის დრო, როცა ტფილისში მირეულდი ათთიაქი გაიმართა. ეს იყო 30 წლებში, პასკვილის დროს. იმ ხანებში ათთიაქის პატრონს დიდი უფლება ჰქონდა მონიჭებული, სთქვა თავმჯდომარემ. ერთი კაცი იყო პატრონი ათთიაქებისა კავკასიაში: ტფილისსა, სტავროპოლსა და სხვა ადგილებსა; ამ ქალაქებში იყო მხოლოდ თითო ათთიაქი და სხვა-კან-კი არსად, და არც შეეძლო სხვა კისმე ათთიაქის გამართვა კარდა ამ სამის ათთიაქის პატრონისა. შემდეგ ტფილისის ათთიაქი შეიძინა შმიდტმა.

ბ-ნმა კრესლოვსკიმ ისიც მოიგონა, რომ ქართველთა ერთმა პატრიოტიზედმა იმ ხანებში შმიდტს აზეკა სოფლოდ ბაქოს მიწა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამეფნისდო მცენარეთა ბალი გაეშენებინა, მაგრამ, როგორც ალმოჩნდა, პატრონი შიდის სურვილი კეთარ აღსრულდა.

დღეს ქალაქში 11 ათთიაქია.

თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ კრებამ დადგინა: გაეგზავნოს მემკვიდრე ცესარევიჩს მისადგილი დეპეშა შესახებ იმისა, რომ განეცხადა გადაჩრნინა იმ ხიფთისაგან, რომელიც იაპონიის ქ. ოტსუში შეემთხვა.

კრება დაიშალა მეათე საათის დასასწყისს და აქედან წყვრნი გაეგზავნენ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ ბალში, მიხეიდის ქუჩაზედ,

---

რედ, აუელელებლივ. მისთვის საიმისო საპირო არ იყო არც ფაცა-ფუცი კაცისა, არც მისი გამუდმებული ფიქრი და თავის მტერეეა. ცხადია, რომ ამისთანა პატრიარქალურს ყოფაში არც წესიერი სამეცნიერო განათლება იყო დიდად საპირო და მართლაც ამისთანა გარემოებათა შორის ხალხი ძალიან ადვილად მიდის იოლად უმეზობოდ, არა თუ მარტო ჩვენში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. თუმცა ეს კი უნდა ეცოქვათ, რომ სხვაგან მაინც უფრო მეტად ჭკვიანობდნენ ამ განათლების საპიროებასა, ვიდრე ჩვენში და ამის მიზეზი სხვა საზოგადო საპოლიტიკო გარემოებანი იყო. მაგრამ ყველაზედ უფრო საყურადღებო ამბავი ის არის, რომ ამ განათლების მხრივ დიდს გარჩევას ვერას ჰპოვებდით არა თუ მაშინდელს ერთისა და იმავე წოდების მამა-კაცსა და დედაკაცს შუა, ცოლსა და ქმარს შორის, არამედ საიმისო შეცადმჩნეი განსხვავება არ არსებობდა, ასე გასინჯეთ, ყმასა და ბატონ შუაცა, გლეხ-კაცსა და აზნაურს შორისაც, წევრნი ერთისა და იმავე საზოგადოებისანი ხომ, რაღა თქმა უნდა, ყველანი ერთს, თანაბარს დონეზე იდგნენ და ერთსადაც ეკერშმი იყო გამართული. შინაურეულად, ძმურად და ამხანაგურად იცხოვრებდნენ ტაბა. ბევრი სიტყვა იყო წარმოთქმული ამ ნორჩ საზოგადოების საკეთილდღეოდ და ამისანაგების სადეგრეძოდ.

არტემ სტ—ძის წარინოვის წინადადებით კრებამ დადგა სადეგრძოდ ბეტრბურგის სამსედრო საექიმო აკადემიის უსუფეს პროფესორის იულიუს ტრაუბეისა, რომელიც კრებამ იქვე ერთხმად ამოირჩია თავის საპატიო წევრად და ამის სათხოვარი დეპეშაც გაუგზავნა.

დამის სამი საათი იყო, როცა ფარმაცევტებმა „კვრეზის“ ბალი დასტოვეს და თავისს ოჯახსს მიეგზავნეს.

დიბა ᲓᲐ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი. როგორც მოგეხსენებათ, ერთი უმთავრესი საზრუნველი და საპირ-ბოროტო საქმე ჩვენის თავად-აზნაურობისათვის გახლავთ ამჟამად დამტკიცება მათ წოდებრივ ღირსებისა. ერთი წელიწადი თითქმის ისე წაუვიდა ჩვენს თავად-აზნაურობას ხელიდან, რომ არაფითარი ზრუნვა და მეცადინეობა არ გამოუჩენია ამ საგნის შესახებ. ეხლა ყველა დარწმუნდა, რომ დიდი შეცდომა მოუვიდათ და რომ ერთის წლის ტყეულ უბრალოდ დაკარგვა საგრძობელი დასაკლისია ხსენებული საქმის დროზე დამთავრებისათვის. ამის გამო დღეს ყველა დიდს ფაცა-ფუცშია და სცდილობს, რომ თავისი საქმის დაწყება და წარმოება აღარ დაეგვიანონ. ჯერ ხელი მიჰყვეს მამა-პაპათაგან შენახულს ძველს ყუთებს და დაუწყეს ძებნა წყალობის სიგელებს, იმერეთის მეფეებისა და სამეგრელოს მფლობელების მიერ ბოძებულს. ამ ძველმა, თითქმის ხსოვნიდგან აღმოზოცილმა ზმამა-პაპათა ყუთებმა ბევრი დაანუგეშა, რაკგანაც ბევრმა იპოვა ძკირფასი საბუთები, გონიერ მამა-პაპათამ მიერ მენახული. ხოლო უმრავლესობას კი ტყეილად ჩაუარა ძებნამ, ეერა-ეპონარი, ფრიად მცირე და ნაკლები აწყალა-ცოდნა და განათლება ჰქონდათ.

კარგია თუ აეია ასეთი ყოფა, ამას თავი დაანებეთ და მხედველობაში მიიღეთ ის უეკველი გარემოება, რომ. რაკი საზოგადოების ეეერთა შორის თითქმის არაეითარი გონებრივი და ხნეობრივი განსხვავება არ იყო, ერთმანერთსაც ადვილად უახლოდდებოდნენ, ადვილად უსვიდებოდნენ. საუბარსა და ლაპარაკში ერთსა და იმავე სიტყვებსა ხმარობდნენ, ერთსა და იმავე ფიქრებისა და აზრების ტრიალსა და ცელაში იყვნენ, ყველაფერს დაახლოებით ერთნაირის თვალით უცქეროდნენ და ერთნაირისაეე ნატერა-სურვილებით იყვნენ გამაკაკალულნი. ასეც უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ ყველანი ერთნაირადა და თანაბრად ექვემდებარებოდნენ ერთსა და იმავე მტკიცედ დამყარებულს წეს-წყობილებას, რომელსაც თვითონ არაფერში არა სცდილიდნენ და მზამზარეულს იღებდნენ მამა-პაპათაგან. თვით ის წეს-წყობილებაც თავისით არაეითარს ცვლილებას არა თხოულობდა მათგან, არაეითარს მიშენებამიმატებას და თავ-სატეხს შეკეთებაშესწორებასა.

ამ გარემოების წყალობით, დედაკაცს ესმოდა, რა ხასიათისა და თვისებისა იყო მისი დრო და ადვილად ახერხებდა იმ ეითარებაში, რა ეითარებაშიაც იმყოფებოდა, ემოქმედნა, ესაქმნა, ეღვაწნა, იმდენად მაინც, რამდენადაც ყოველ ამის ნებას აძლევედა ის მცირე, მანძილ მოკლე სარბიელი, რომელიც არსებობდა იმ ძველებურს დროს.

ოჯახში დედაკაცი, ცოტად თუ ბევრად, ხელთა თანაბარი, სნეულსაეით მმრომელი წევრი იყო, ყოველი საოჯახო საქმე ადვილად გასაგები და მახასეელური, და ამიტომ სახალისო და საინტერესო მისთვის. ამას გარდა, თუ მკითხავთ, არც ერთი ასეთი საქმე არა კეთდებოდა ან იმასთან მოულაპარაკებლად, ან და იმის დაუხმარებელად. ცოდნა-გაგება ცოლ-ქმარს ერთნაირი ჰქონდათ, მაშასადამე დედაკაცი ოჯახის ზრუნვა-საქმეებს შორს ვერ დაიჭერდა: ყველა ეს ზრუნვა-საქმეები საზოგადოდ მთელის ოჯახის საერთო თავში საცემი იყო. ამიტომ თითოეული ამისთანა საქმე ცოლ-ქმართა საერთო იმისაგან მოელის ცხოვრების სახსარს. მაწათ მოქმედების გარეშე სხვა ღონისძიება ლუკმა პურის მოპოვებისა ჩვენს ხალხს არა აქვს-რა, თუმცა ამის მიუხედავად ლეჩხუმელი ხალხი მეტად უკან სდგან სამეურნეო სწაელა-განვითარებით აქ ქეელის-ძეელს მამა-პაპაურს მეურნეობას ფერი ჯერაც არ უცვლია. ჩვენში ერთს კაცს ვერ შეეტდებით სამეურნეო სწაელა-ცოდნა მიღებულს. ჩვენი ნიეთიერი მდგომარეობა თან-და-თან უკან მიდის და ეღარიბდებით. ყოველ-გეარს სწაელასთან შედარებით, ჩვენის აზრით, ლეჩხუმის მკეიდრთათვის უფრო გამოსადეგი და სარგებლობის მომცემი სამეურნო სწაელა-ცოდნის შეძენაა. ამის გამო სასურველია ლეჩხუმის მოწინაეე და შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა შეუდგებოდეს იმისს ზრუნვასა, რომ ამ მაზრაშიაც დააარსონ სამეურნეო სასწაელებელი. სუფეელი და მონდომა იყოს, თორემ ეს საქმე არც ისე მძიმე და საძნელოა. თუკი წინამძღვრანთნ-კარში ერთის კაცის, ბ-ნის წინამძღვარიშვილის შრომამ, მეცადინეობამა და უნარმა გაუსკენა საძირკველი ამ დიდად სასარგებლო დაწესებულებას, მთელს მაზრასს, თუ მოინდომებენ, როგორ გაუჭირდება ერთს სამეურნო სასწაელებელის დაარსება და შენახეა.

ქალისარო გელოვანი.

დეპეშა

8 მაისი

პეტერბურგი. „С.-Петер. Вѣд.“-ს გაუგონია, რომ საგლეხო ბანკში ცვლილებათა შემოდების საქმე საბოლოოვოდ გარდასწყვეტა. გარდა ბანკის ოპერაციების სიზზოგადო განკარგებისა, შეამცირეს აგრეთვე პროცენტები და სესხის ნაწილ-ნაწილად გადასაწყვეტად შესატანის ფულის რაოდენობაც. გადასაწყვეტის ფულის ჯერზე შესატან ნაწილად სარგებლიანთურთ დანიშნულია 5%.

ᲛᲔᲠᲕᲔ. ბელგრადში მომხდარ ამბების გამო, ბევრი გაზეთი ჭკვიცხავს სერბიის მთავრობას, ხერხიანად და სასტიკად ვერ იქცევაო. „Neue freie Presse“ ამბობს, ავსტრო-ვენგრიის მთავრობამ ლონერომ უნდა იდონოს, რომ ბელგრადის არეულობა დიდს მანძილზედ არ გავრცელდეს.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. მემკვიდრე ცესარევიჩის ხიფათისაგან გადარჩენის გამო, იმპერატორმა ვილჰელმა ჯერ მილოცვის დეპეშა და შემდეგ საკუთარის ხელით დაწერილი წერილი გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც, როგორც ამბობენ, პასუხი მისწერა და გულითადი მადლობა გარდუხადა.

9 მაისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ოფიციალური დეპეშები იუწყება, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის წამოსვლამდე, იაპონიის იმპერატორი კობეში მოვიდა მისს უმეფლესობასთან გამოსამშვიდობებელად და ისაუბრა ფრეგატ „Память Азова“-ზეო. გამომშვიდობება ძალიერ გულითადი იყო. უკანასკნელს დდეებში მემკვიდრე ცესარევიჩს მოუვიდა რამდენიმე დეპუტაცია და მიიღო მრავალი ადრესი იაპონიის ყოველის ნაწილიდგან, დეპეშა და საჩუქარი. გუშინ განვლეს სრუტე სიმონოსაკი და გეემართნენ ვლადივოსტოკისაკენ. იმედოვნებდნენ, შაბათს მივალთო. მემკვიდრე ცესარევიჩი ძალიერ კარგადა ბრძანდება.

მემკვიდრე ცესარევიჩის ხიფათისაგან გადარჩენის გამო უმართებულოდ ამა სენატმა უქვეშევრდომილესი ადრესი მიართვა ხელმწიფე იმპერატორს და ცესარევიჩს დეპეშა გაუგზავნა. ადრესზე ხელმწიფე იმპერატორმა წაუწერა: „იმ

ᲨᲘ. დედაკაც შეეძლო, საკმაოდ მხნე, ცნობიერი მონაწილეობა მიეღო ქეეყნის საერო მეურნეობაში; მართალია ისიცა, რომ შრომასა და მოღვაწეობას ბატონ-ყმურის მეურნეობის წარმომადგენლებისას არც ძალა ჰქონდა საკმაო, არც ფრთა ერცლად გაშლილი; ისიც მართალია, რომ იგი მეურნეობა არ სთხოვდა მეურნეს არც თავსნობასს, არც ახალის წარმოების ძებნის მოუსეენარს სურვილს, რადგან ყოველიეე ერთხელეე შემოლებული წესით კეთდებოდა, ერთხელეე შეწყნარებულის ადათით რიგდებოდა; მართალია ყოველიეე ესე, მაგრამ მაინც ამ ეიწროდ შემოფარგლულსა და შემოზღუდულს ასპარეზზედაც დედაკაცს შეეძლო თვით მოქმედება და უნარი ჯაფა-შრომისა გამოეჩინა. ხოლო ყოველიეე ამას უეკველი თავისი წილი ზედ-მოქმედებისა უნდა ჰქონოდა დედაკაცის გონება-ზნეობასა, იმის ქცევა-ხასიათსა და ყოფა-ცხოვრებაზედ.

გ. მაისაშვილი

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერატრიცა და მე გმადლობთ სენატს თანაგრძობისათვის“. მემკვიდრე ცესარევიჩმა შემდეგი დეშეშა გამოგზავნა: „გულითადად ვმადლობ სენატს თანაგრძობისათვის. ძალიერ მადე შევიქმენი კარგად“.

დედოფალ ნატალიის გაძევების გამო. „Joural de St-Petersburg“-ი ამბობს: „ამ ფონის ძიების მიზეზსაც რომ არ შევეხოთ, შეიძლება მაინც ვიკითხოთ: მოიქცნენ თუ არა ჯეროვანის სიფრთხილით. რუსეთს, რომელიც ყოველთვის მხურვალედ თანაუგრძობდა დედოფალს, მხოლოდ მწუხარის თვალით შეეძლიან უყურონს ბელგრადის ამბებს და ისურვოს, რომ ამითი მაინც გათავდეს ეს დიდის ხნის უსიამოვნობა. ამავე დროს რუსეთს ძალიერ უნდა, დამკვიდრდეს ტახტი ახალგაზდა მეფისა და სერბის მშვიდობიანი ხანა დაუდგეს საკეთილდღეო განვითარებისათვის.

ლონდონი. აქაურმა იაპონიის საელჩომ შემდეგი ამბავი გამოაცხადა: 11 მაისს ახალის სტილისას მემკვიდრე ცესარევიჩი კიოტიდგან ოტსუს წვიდა და იქ საპრეფექტოში ისაუზმა. კისამის ქუჩაზე, საპრეფექტოს ცოტა მოშორებით, პოლიციელმა ტუდამ, რომელიც ქუჩის მარჯვენა მხარეს იდგა დარაჯად, უეცრად ხმალი იძრო და ცესარევიჩი შუბლში დასჭრა მარჯვენა მხრით. იმ კაცმა, რომელიც ცესარევიჩის ეტლს უკან მიჰყვებოდა და წინ სწევდა, ფეხებში წაავლო ხელი ტუდას და წაეცა; დაცემის დროს ტუდას ხმალი გავარდა. საბერძნეთის პრინცის გიორგის მეეტლე დასწვდა ხმალსა და ტუდას დაჭკრა. დამნაშავე დაპატიმრებულია.

10 მაისი

ჟენევრბურგი. გამოცხადებულ იქნა კანონი მარგარიანის ერთის წარმოება ყიდვისა და გარდაწყვეტილება ლიპეცკის მადნის წყლების ხაზინისათვის გარდაცემის შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა 7 მაისს

	ფიდელელ.		გაყიდვა.		ბოლოს.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	6	76	6	73	—	„
ტამოჟნის კუპონები	134½		135		—	„
ძანეთიანი ვერცხლის ფული	1	03	1	05	—	„
5% პირველების შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	242½		—	„	—	„
—ეროვნისა	222		—	„	—	„
ს